საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/71 " 18 " ივლისი 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ვ. მშვენიერაძის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

2022 წლის 5 ივლისს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ინიცირებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის დანიშვნის საკითხი და აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის მსურველ მოსამართლეებს მიეცათ ვადა შესაბამისი განცხადებების წარმოდგენისათვის. 2022 წლის 13 ივლისს მიღებულ იქნა მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ვასილ მშვენიერაძის განცხადება.

ვასილ მშვენიერაძეს აქვს მოსამართლედ მუშაობის 14-წლიანი გამოცდილება, მათ შორის მას აქვს მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება. იგი იყო გორის რაიონული და მცხეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე, ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარე. ვასილ მშვენიერაძე 2021 წლის იანვრიდან არის თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, 2022 წლის 25 ივლისიდან:

1. ვასილ მშვენიერაძე დაინიშნოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარედ, 5 წლის ვადით.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ვ. მშვენიერაძისათვის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 10 ივნისის №1/53 განკარგულება.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე